

შპს "ელვა" (205108578)

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

შპს „ელვა“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი:

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება ----- 3

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ----- 4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია ----- 5
2. მომზადების საფუძვლები ----- 5
3. დივიდენდების გადახდის შეზღუდვა ----- 8
4. ამონაგები ----- 9
5. საბიუჯეტო გადასახადები ----- 9
6. სავაჭრო და სხვა მთხოვნები ----- 9
7. სასაქონლო-მატერიალური მარაგები ----- 9
8. ძირითადი საშუალებები ----- 10
9. სავაჭრო ვალდებულებები ----- 10
10. საკუთარი კაპიტალი ----- 11
11. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ----- 11
12. საპროცენტო შემოსავალი ----- 11
13. სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში ----- 11
14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება ----- 12


შპს ელვა (205108578)
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	შენიშვნები	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11	410860	368524	313938
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	504899	650469	681222
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები		23465	22811	22038
მარაგები	7	33262	222	7065
სხვა მოკლევადიანი აქტივები		0	0	189990
ძირითადი საშუალებები	8	132356	159713	161817
სულ აქტივები		1,104,842	1,201,739	1,376,070
ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	9	343429	340125	169199
საგადასახადო ვალდებულებები		0	1838	4031
სხვა ვალდებულებები		13	0	0
სულ ვალდებულებები		343,442	341,963	173,230
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		4203	4203	4203
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		757197	855573	1198637
სულ საკუთარი კაპიტალი	10	761400	859776	1202840
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1,104,842	1,201,739	1,376,070

დირექტორი მოვალეობის შემსრულებელი უფლებამოსილი პირი: დავით გოგრიჭიანი

ხელმოწერა:




საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	შენიშვნა	31/12/2024	31/12/2023
ნეტო ამონაგები	4	710508	2393108
გაყიდვების თვითღირებულება		(401120)	(1659085)
საერთო მოგება		309388	734023
დასაქმებულთა ანაზღაურება		(50702)	(212764)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	8	(32102)	(32289)
საპროცენტო შემოსავალი	12	44151	20431
იჯარის ხარჯი		0	(20000)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		(54629)	(150909)
სულ საოპერაციო ხარჯები		(93282)	(395526)
საოპერაციო მოგება		216106	338497
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		(6)	(14283)
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		216100	324214
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		216100	324214
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		216100	324214
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		859776	1202840
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		(87697)	(615512)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	13	(226779)	(51766)
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		761400	859776

დირექტორი მოვალეობის შემსრულებელი უფლებამოსილი პირი: დავით გოგრიჭიანი

ხელმოწერა:



5-10 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2024 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

"ელვა" შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ცაგარელის ქუჩა, (ყოფ.კრონშტანტის) №58

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სადაზვერვო ბურღვა და აფეთქებითი სამუშაოებით მომსახურება. დამხმარე საქმიანობა არის ამ მომსახურებასთან დაკავშირებული საქონლისა და ნედლეულის რეალიზაცია.

კომპანიის მესაკუთრეების წილი წარმოდგენილია შემდეგი პროპორციულობით: დავით გოგრიჭიანი (3/601008015425) – 100%

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულებში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

გადასახდელი მოგების გადასახადი ეფუძნება მიმდინარე პერიოდში მოგებით დასაბეგრ ოპერაციებს და მოგების გადასახადის გადახდა ხდება ყოველთვიურად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

სასარგებლო ვადა (წელი)	
შენობა-ნაგებობები	10-20
მანქანა-დანადგარები	5-10
ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	5-8

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგ-როვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც 10 წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია,

საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ს) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა-ნა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ს) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯე- ბით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში

3. დივიდენდების გადახდის შეზღუდვა

ბანკის სესხებისა და ბანკის ოვერდრაფტების ხელშეკრულებების პირობების მიხედვით დაუშვებელია ისეთი ოდენობის დივიდენდების გადახდა, რაც გაუნაწილებელი მოგების ნაშთს შეამცირებს ბანკის სესხისა და ბანკის ოვერდრაფტის გადასახდელი ნაშთების ჯამზე ნაკლებ სიდიდემდე.

4. ამონაგები

	2024	2023
საქონლის რეალიზაცია	402,928	1,930,348
მომსახურების გაწევიდან	307,580	462,760
ჯამი	5,793,981	4,682,790

5. საბიუჯეტო გადასახადები

	2024	2023
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	0	1838

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2024	2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	504,899	650,469
გადახდილი ავანსები	23,465	22,811
	<u>528,364</u>	<u>673,280</u>

7. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2024	2023
წედლეული და მასალები	<u>33,262</u>	<u>222</u>
	33,262	222

8. ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება

დასახელება	01.01.2024	შემოსავლა	გასვლა	31.12.2024
შენობა - ნაგებობები	40,199	0	0	40,199
სატრანსპორტო საშუალებები	183,357	0	0	183,357
სხვა ძირითადი სასუალებები	18,920	4,745	0	23,665
სულ:	242,476	4,745	0	247,221

დაგროვებული ცვეთა

დასახელება	01.01.2024	წლიური ცვეთა	გამოკლებული გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	31 დეკემბერი 2024წ.
შენობა - ნაგებობები	1,977	7,644	0	9,621
სატრანსპორტო საშუალებები	75,008	21,670	0	96,678
სხვა ძირითადი სასუალებები	5,771	2,788	0	8,559
სულ:	82,756	32,102	0	114,858

საბალანსო ღირებულება

დასახელება	31.12.2024
შენობა - ნაგებობები	30,578
სატრანსპორტო საშუალებები	86,679
სხვა ძირითადი სასუალებები	15,106
სულ:	132,363

9. სავაჭრო ვალდებულებები

	2024	2023
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	335,031	328,128
მიღებული ავანსები	8,398	11,997
	343,429	340,125

10. კაპიტალი

2024 წლის 31 დეკემბრისათვის საკუთარი კაპიტალი შეადგენს 761,400 ლარს, რომელიც შედგება 4,203 ლარის საწესდებო კაპიტალისა და 757,197 ლარის გაუნაწილებელი მოგებისგან.

11. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2024	2023
ფულადი სახსრები სალაროში	1	416
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე	410,859	368,108
ჯამში	410,860	368,524

12. საპროცენტო შემოსავალი

	2024	2023
ანაბარზე დარიცხული სარგებელი	44,151	20,431
	44,151	20,431

13. სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში

გაუნაწილებელ მოგებაში დაფიქსირდა -226,779 ლარის შემცირება, რაც განპირობებულია წინა პერიოდებში გადახდილი დივიდენდების მიმდინარე საანგარიშო წელს ფაქტობრივი დარიცხვით.

14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორთა საბჭომ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2025 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი უფლებამოსილი პირი:

დავით გოგრიჭიანი

ხელმოწერა:

